

რამაზ ხაჭავაძე

ოკრიბის თემის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული
მიმოხილვა

(1993-1999 წლებში ჩაწერილი მასალების მიხედვით)

1993-1999 წლებში ოკრიბის თემის სოფლებში სხვადასხვა ასაკის, სქესის, პროფესიის, მსოფლმხედველობის პირთაგან ჩავიწერეთ საინტერესო ფოლკლორული მასალა: ზღაპრები, ლეგენდები, გადმოცემები, თავგადასავლები, თანამედროვე ამბები, სახუმარო ნოველები, კაფიები, გამოცანები, ანეკდოტები, მოცემული რეგიონისთვის სპეციფიკური სიმღერები, შელოცვები, დალოცვები და გამოლოცვები. გავრცელებული ხალხური ლექსები ძირითადად სახუმარო-სატრფიალო ხასიათისაა. ჩავიწერეთ აგრეთვე კონკრეტულ ავტორთა ლექსები. მათში ასახულია სოფლის, რეგიონის მრწამსი, ყოფა-ცხოვრება. წარმოვადგენთ რამდენიმე მათგანს:

“კვირიკობ-მარიობის თვეში
ქალი დამეკარგა ტყეში,
ვინც მე იმას მომინახავს
ვორი კვირა ყავდეს თვეში“.

(მთქმელი: გრიგოლ გოგოლაშვილი, 92 წლის, სოფ. ორპირი).

ჩონგურზე დამღერებული ლექსი:

“ჩვენ თუ თითონ ვერ შევძელით
ერისა და ქვეყნის მოვლა,
ვერც ტეტჩერი გვიშველის
და ვერც რაისა მაქსიმოვნა“.

(მთქმელი: ვლადიმერ ჩუხინიძე, 67 წლის, სოფ. ოჯოლა).

კონკრეტულ ავტორთა ლექსები პოპულარობით სარგებლობენ, ბევრი ყვება და გვეუბნება, ხალხურიაო.

ჩავიწერეთ ლეგენდები ცუცხვათისა და ქვედა ქყების ციხეზე; გადმოცემები იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა სიკვდილი ქვეყანაზე; რატომ დასწყევლა ღმერთმა ადამიანთა მოდგმა; როგორ დასწყევლა ადამმა და არა ღმერთმა ევა და მისი ნაშიერი, რადგან ცოლი “სანადიროდან“ დაბრუნებულ ქმარს დახვდა ფრჩხილის სამოსელიდან სრულიად “გალელვნილი“ და ეშმაკის მიერ შეცდენილი; თითქოს მეორედმოსვლის დროს განკითხვის შემდეგ დარჩენილი უცოდველი ხალხი ისევ იმ ფრჩხილისებური ნათელით იქნებიან შემოსილი (მთქმელი: მარიამ ხვადაგიანი, 74 წლის, სოფ. ჯონია).

96 წლის ელისაბედ ჩიტიძე გვიყვება გახალხურებულ-გაზღაპრებულ სიუჟეტს წმინდა მამათა ცხოვრებიდან. მასში გადმოცემულია მარიამ მეგვიბტელის თავგადასავალი (მთხრობელი მას მარიამ მაგდალინელს უწოდებს). ძირითადად ამბავი შეცვლილია. ეპილოგში რესპოდენტს მარიამ მეგვიბტელის დამსაფლავებელი ლომები მოწამეთის მონასტერში გამოქანდაკებულ ლომებად მიაჩნია, რომელთაც წმინდა ცხოველებს უწოდებს. ამბავი საინტერესო და ორიგინალური ჩანს.

აღსანიშნავია ოკრიბაში გავრცელებული ანდაზები:

1) "რაცხა ოჯახში დედალი ყივის, იქინა მამალი არ ვარგაო."

2) "პილპილი მწარეა, მაგრამ ზოგიერთ საქმელს უხთებაო."

3) "კაცი, რომელიც თავის მშობელზე უწინ სიდედრს და სიმაურს დააყენებს, მის ოჯახში ქალი იქნება უფროსიო."

ჩავიწერეთ გამოცანები, ენის გასატეხი, მაგ.: "რკო ქამა, რკო ყლაბა, რკო მუხაზე გეიტანა, გაარჩია, შეყლაბა"...

რაც შეეხება ზღაპრებს, ჩვენ მიერ ოკრიბაში მოპოვებულ ზღაპართა რაოდენობა ძალიან მწირია. ჩავიწერეთ სამი ზღაპარი. აქედან უორა ბაკურაძის მიერ ნაამბობ ზღაპარს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ "მადლი და უმადურობა". თავად რესპოდენტი კი მას არ ასათაურებს. შინაარსით ჰგავს ქართულ ხალხურ ზღაპარს "სამი ძმა". ისინი თითქმის ერთნაირია, განსხვავებულია მხოლოდ ბოლო ნაწილი; ჩვენს ვარიანტში ქალს შვილები ელუბება და მას ქრისტე ღმერთი გაუცოცხლებს, ხოლო გამოქვეყნებულში ქმარს სიცოცხლეს ისევ ღმერთი უბრუნებს.

ელისაბედ ჩიტაძე-ლომთაძის მიერ ნაამბობი ზღაპარი ჰგავს კარგად ცნობილ ზღაპარს "კონკია" (იხ. ს. ქეთელაური, "იყო და არა იყო რა", 1977). სხვა ვარიანტებში კი "დედინაცვალი და გერის" სახელწოდებითაც გვხვდება. ზღაპრებს შორის განსხვავება უმნიშვნელოა: გამოქვეყნებულში დედაბერი ეხმარება კონკიას, ხოლო ჩვენს ზღაპარში დედაბერი არ ჩანს და გოგონა ძროხის დახმარებით აღწევს საწადელს. ახალ ვარიანტში ქრისტიანული ელემენტები (აღდგომის დღესასწაული, ეკლესია...) სქარბობს...

დავით ხუჯაძისგან ჩაწერილი ზღაპარი "აბეხანჯალი" შინაარსით ჰგავს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გამოქვეყნებულ, აგრეთვე, ს. ქეთელაურის მიერ შედგენილ ზღაპარს "აღებანჯალას". პირველი "აღებანჯალოს" სახელწოდებით ჩაწერილია გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანში 1964 წელს, (მთქმელი სონა ხატიაშვილი), ხოლო მეორე ზღაპრის სათაურია "აღებანჯალა" (მთქმელი და თარიღი არ არის მითითებული). როგორც გამოქვეყნებულ, ასევე ჩვენ მიერ მოპოვებულ ზღაპარში ძირითადი მოტივია სატრფოს ძებნა და ძმობილისათვის თავის განწირვა. მაგრამ ოკრიბულ ვარიანტში, რომელიც მოცულობით დიდია, გამოქვეყნებული ზღაპრისაგან განსხვავებით, სამსამი წინააღმდეგობის გადალახვით აღწევს "აბეხანჯალი" მიზანს; პირველ შემთხვევაში ერთი საქალამნე ტყავის აძრობა იყო საჭირო ცხენისათვის, რათა შებრძოლებოდა თეთრ კაცს; მეორე შემთხვევაში ორი საქალამნე ტყავის აძრობა იყო საჭირო, რომ შებრძოლებოდა წითელ კაცს; მესამე შემთხვევაში კი სამი საქალამნე ტყავის აძრობა იყო საჭირო, რომ შებრძოლებოდა შავ კაცს. გამოქვეყნებულ ზღაპრებში კი ეს სამი წინააღმდეგობა გამოიხატება სამი დის დახსნისათვის დევებთან ბრძოლაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ ვარიანტში ქრისტიანული ელემენტებია შესული. მაგალითად: მონათვლა, ბედის დაბედება, ხანჯლის ჩუქება; გამოქვეყნებულში კი ეს საგანი (ხანჯალი) თან დაჰყვება გმირს.

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ ჩაწერილი ზღაპრების რაოდენობა ძალიან მცირეა. სიღუბჭირესა და ეკონომიურ ხელმოკლეობაში მყოფ ოკრიბულ კაცს აღარ სცალია ზღაპრის მოგონება-გადმოცემისათვის. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოკრიბულ ფოლკლორში, ისევე როგორც ზოგადად ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, აქცენტი გადატანილია საკრალურ ციფრებზე (სამი, ცხრა): სამი და, სამი ძმა, სამი მთა, ცხრა მთა, სამი დღე, ცხრა წყარო. შელოცვათა

ძირითადი ნაწილიც ასე იწყება: სამი სახელითა ღვთითა ან სამჯერ სახელითა ღვთითა... გამოლოცვის დროსაც აუცილებლობადაა მიჩნეული ცხრა გვარის ქალი, ცხრა წყაროს წყალი, ცხრა თავი კაკლეულობა და სხვა.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანთა მიერ ბუნების მოვლენებზე გამომუშავებულ დაკვირვებებს საბჭოთა მეცნიერები ცრურწმენებს უწოდებდნენ. არადა ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაზე ეს რწმენები გარკვეულ გავლენას ახდენენ. მათში ადამიანთა ფსიქოლოგიური სამყაროც ჩანს, ამდენად საინტერესოდაც გვეჩვენება. მაგ.: თუ ღამით ძალი ყმუის — საითაც იყურება, უცილოდ იმ მხარეს ვიდაც მოკვდება; ბაყაყმა დაიყიყინა? — ბავშვმაც იცის, რომ მეორე დღეს წვიმას უნდა ელოდო; ქათმებმა ადრე დაიბუდეს — მეორე დღეს კარგ ამინდს ელოდებიან; შავმა კატამ თუ გადაგირბინა, გზაზე ქვა უნდა გადააგდო: კატა წარუმატებლობის მაუწყებელია. მარცხენა თვალი გითამაშებს? — უცხოს ნახავო, მარჯვენა თვალის თამაში — მარცხენას ახარებსო; თუ თვალები გეცრემლება, უცხო გესტუმრებაო; მარცხენა ხელის გული თუ გეჭავენა, უღვაშიანი სტუმარი მოვაო; ყურები თუ გიწვივს, ცუდ ამბავს გაიგონებო...

საინტერესოა სიზმრის ახსნის წესიც. სხვადასხვა რესპონდენტი სიზმარს, რა თქმა უნდა, თავისებურად ხსნის, მაგრამ ძირითადი ასპექტით ისინი ერთმანეთს ავსებენ და იმეორებენ. სიზმრის ამხსნელად ყოველთვის ქალი გვევლინება. თვლიან, რომ სიზმარში თეთრი კაბა უბედურებას მოასწავებს; ქორწილი ქირია; ცეკვა უცილო სიკვდილია; ამღვრეული წყალი ხიფათია; ფრენა სიხარულია; მტრედი ლოცვა და მშვიდობაა; სახლი უბედურებაა; კარადა სასახლეა; ყურძენი ცრემლია; ფული ჭავრია... სიზმარი ახალ მთვარეზე ახდება, ახდება სამ დღეში, ძველ მთვარეზე კი ნაკლებად. საერთოდ, ოკრიბაში ხალხის რწმენა ძველ და ახალ მთვარეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ყოველი კეთილი საქმის დაწყებისას კაცი მთვარეს აკვირდება.

აქვე წარმოვადგენთ ოკრიბაში არსებულ შელოცვა-გამოლოცვებს. ერთმანეთისაგან მკვეთრად განასხვავებენ დალოცვას, შელოცვას, გამოლოცვას. დალოცვის დროს ადამიანი ლოცავს ოჯახს, ფუძეს, ფუძის ანგელოზს, აგრეთვე ვინმეს, მაგ., მეფე-დედოფალს, იუბილარს, ოჯახის წევრებს. სადღეგრძელოსაც დალოცვას უწოდებენ: "ერთი ჭიქით მაინც დაილოცეო" - იტყვიან. მაგალითად: "მათე ღმერთმა გადღეგრძელოს, წლები ღმერთმა გაგიგრძელოს, ჯიბე მოგცეს ფულით სავსე, გული ჯამრთელობითაო. სახედარიც ბევრი ქყავდეს, მოვლა შეგძლებოდესაო. გაგიმარჯოთ, კარგათ იყავით ყველანი, ელასა, მელასა, ჭიქა მეჭირა ხელასა, მთქმელსა და გამგონებელსა ღმერთი გწყალობდეთ ყველასა" (მთქმელი: გუგული კუბლაშვილი-ბაკურაძე, 70 წლის).

ეს დალოცვა აღსანიშნავია იმითაც, რომ მისი დასასრული მსგავსია ზღაპრების გავრცელებული დასასრულისა. ამრიგად, აქ ორი მომენტი გაერთიანებული — საკუთრივ დალოცვისა და ზღაპრისა.

შელოცვით შეულოცავენ ადამიანს, ცხოველს ან რაიმე საგანს. მასალაზე დაკვირვებით შეიძლება წარმოვადგინოთ შელოცვების ასეთი კლასიფიკაცია:

- 1) ხმამაღლა და ჩურჩულით წარმოთქმული;
- 2) ლოცვა მოქმედების თანხლებით და უიმისოდ;
- 3) სამკურნალო ხასიათის;
- 4) სამეურნეო, ნადირობის, მესაქონლეობის და სხვა...

ჩვენ მიერ შეკრებილი შელოცვების ნაწილი გართმულია, ნაწილი კი გაურითმავი. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ვარიანტს:

უქმურის/მოფურჩხულის/მონადების შელოცვა:

“სახელი სახელითა ხვითთა, მამითა, ძითა, სულითა, მოფურჩხულო დედიანო, მოფურჩხულო მამიანო, მოფურჩხულო შუალიანო, ორშაფათს იყო, სამშაფათს იყო, ოთხშაფათს იყო, ხუთშაფათს იყო, პარასკევს იყო, შაფათს იყო, კვირე აღდგომაა, წავალ ეკლესიას და ვიტყუი აღსარებასა. ბილწო უქმურო გამეყარე, არა თქუნესა ნებასა, მიწის იყო, წყლის იყო, ჰაერის იყო, დაჟდომის იყო, ადგომის იყო, გავლის იყო, გამოვლის იყო, ლეკი იყო, თათარი იყო, ვოსი იყო, აფხაზი იყო, გამოდი ჟინელათ, გამოდი ვოფლათ, გამოდი ქართთ, საცაა ეს გეიარს, საცაა ეს გამეიარს, იესო ქრისტეს ნაწილია, იესო ქრისტეს ნალადლადებია, დაწობა „დეეძინება, პირჯვარი დეეწერება, ცხრა ხატი ცხრა ანგელოზი თავქვეშ დევსვენება“ (მთქმელი: მარიამ გიორგაძე, 80 წლის, სოფ. ზედა ჭყეპი);

“სამი სახელითა ღვთისაო,

ვარსკვლავები ხარ ცისაო,

უქმურო ჩამომეცალე

ბრძანებაა ხვთისაო“ (სამჯერ მეორდება).

(მთქმელი: არიადნა ფორჩხიძე-გაბადაძე, 82 წლის, სოფ. ორპირი).

შეშინებულის შელოცვა:

“გულო შინა-შინა. გულო რამ შეგაშინა? გულო ჩაჯექ შენსა ბუდესა, ფერო მოდი ფერთან, სისხლო მოდი სისხლთან, გულო მოდი გულთან, ჩაეგე შენსა ბუდესა, სადაც დაბადების დღეს ყოფილხარ, მოსოსმანდი! მოსოსმანდი! ჩაჯექი შენსა ბუდესა, გულო ჩეიციწე, გულო ჩეიხალისე, გულო ჩეიხარხარე, სადაც დაბადების დღეს ყოფილხარ. მოსოსმანდი, მოსოსმანდი და ჩაჯექ შენსა ბუდესა. ქორი იჯდა ქანდარასა, დედალი საბუდარასა, გზა ნაგზეურსა, წისქვილი ნაწისქვილებსა, გულო, ჩაჯექ შენსა ბუდესა.“

შელოცვა საქონლის უსაფრთხოებისთვის:

“ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი სვენებია. ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე ხიბორკალი რკინისა, ნადირს კბილი შეუკარი, ჩააგდე ზღვას, ნუ გაუხსნი კვალსა, ნუ გაუხელ თვალსა, ნუ გაუხსნი მხარსა, დაიფარე ჩემი საქონელი, ჩემი ქათმები უწვავი ხორცების მჭამელისაგან. აცილია, მაცილია, კურდღელი და ფაცილია ჩემ ქათმეფს და ჩემ საქონელს უწვავი ხორცების მჭამელი ცხრა მთას იქეთ აცილია.“

რესპოდენტთა თქმით, “მოფურჩხულ-სენშეყრილ ადამიანს გამოლოცვასთან ერთად უნდა ზერანის გაკეთება. ზერანისთვის საჭიროა: ცხრა ღობის ჩხირი, ცხრა წყაროს წყალი, ცხრა გვარის ქალი, ცხრა გლეხის კაკალი. ამ ცხრა გვარის ქალებმა ლოცვა უნდა იცოდნენ. უნდა გაიტანო ეს ყველაფერი და დაყარო გზაჯვარედინზე. დატოვებ აგრეთვე მლოცველთა მიერ გაბმულ ძაფებს, ნიგვზის ნაჭუჭში ჩასხმულ ღვინოს, პურის ცომისაგან გაკეთებულ სხვადასხვა ფიგურას. უნდა დაილოცო, შესთხოვო წმინდა ნიანის, მოფურჩხვის ღვთაებას, ავადმყოფის განკურნება, შემობრუნდები წალმა და იტყვი: საიდანაც მოხვედი, იქით წაბრძანდი.

ანალოგიური მაგიური ქმედება დასტურდება შეშინებულის ლოცვისას. შიშის ლოცვის თქმისას მლოცველი ასრულებს ტყვიის გადადნობის წესს, რითაც გებულობს, თუ რისგანაა შეშინებული ავადმყოფი. ტყვიის გადადნობაც და ზერანიც ერთ რწმენას ემსახურება, მხოლოდ შესრულების წესშია სხვაობა.

ტყვიის გადაღობის დროს უნდა იყოს ცხრა წყაროს წყალი, ცხრა გვარის ქალი და გასროლილი ტყვია. ტყვია უნდა იყოს ლულაში განავლელი. დააწვენ ავადმყოფს, დაადებ მაკრატელს და კვირისტავს თეფშზე. დაასხამ ამ ცხრა წყაროს წყალს და ჩაასხამ შიგნით აღუღებულ ტყვიას და ეს ტყვია მიიღებს იმის ფორმას, რისი თუ ვისი შეშინებულიცაა ეს ავადმყოფი და შემდეგ შეულოცავ იმის მიხედვით. ეს ტყვია შემდეგ უნდა შეიბას ავადმყოფმა ცხრა დღეს მაინც. იმიტომ, რომ ცხრა გვარის ქალის ნალოცია (პარალელურად მიმდინარეობს შელოცვა შეშინებულისა).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორპირში ჩაწერილ შელოცვათა პროლოგისა და ეპილოგის ნაწილი ტრადიციულ-კეთილხმოვნურია, პოეტურია, ზოგიც რელიგიურ-ქრისტიანული:

პროლოგი:

“სახელი სახელითა, ხეთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა...” (ქ).

“ალისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალისასა, შინაურისასა, გარეულისასა.”

“აშინა-მაშინა, გულო რამ შეგაშინა...”

“ანი იყო, ბანი იყო... ნავთა შუა ქალი იყო...”

“ეკენია, ბეკენია, ბერსა ხატი სვენებია...”

“ელი ელობდა, მელი მელობდა, ზღვა ფოფინობდა, ზღვა მოშინობდა...”

“ანსალა, მანსალა, შავი ჭირი და სანსალა...”

ეპილოგი:

“ღმერთო არგე ლოცვა ჩემი ბრძანებაა შენი”

“ღმერთი წყალოფს, ჯვარცმული, ვერას აკლებდეს მაცდური”

“დასწერე ჯვარი შენი, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანებაა შენი”

“უჰუ, მგელსა, სისბლი მტერსა”

“შეგერგოს ია-ვარდათ, ქალის რძეთ და შაქრათ”

“ღმერთო და წმინდა გიორგი, არგე ლოცვა ჩემი”

საკუთრივ ოკრიბაში გვხვდება ინდიფერენტული და მერყევი შემლოცველები. არიან ადამიანები, რომლებმაც იციან შელოცვა. მაგრამ არ იყენებენ პრაქტიკულად; გვხვდებიან ძლიერ მორწმუნენიც, რომელთაც სწამთ შელოცვა და მას იყენებენ პირველივე საჭიროებისას და ადამიანები, რომელთაც არ იციან შელოცვები, მაგრამ დაჭერებულნი არიან მის ძალაში.

დღეს ოკრიბაში შელოცვების კარგი შემსრულებლები არიან როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა წრეში. ზოგიერთები მას შემოსავლის წყაროდაც იყენებენ. არიან პროფესიონალი ანუ “მიღებული” შემლოცველებიც; პროფესიონალიზმის მაჩვენებელია ხალხში გავრცელებული წარმოდგენა ამ შელოცვა-გამოლოცვის გაჭრის შესახებ (ორპირში ცნობილი შემლოცველები არიან: არიანა გაბადაძე-ფორჩხიძე, მარიამ ხვადაგიანი; ნაბოსლებში: მარიამ ჭიქაბერიძე-ქათამაძე, მარგალიტა ჯინჯინაძე).

ოკრიბელთა რწმენით, შელოცვები უმთავრესად სარგებლობის მომტანია, თუმცა ისეთებიცაა, რომლითაც შეიძლება ვინმე “გაჩხიბო”, მოაჩადოვო, შეაყვარო ან შეაძულო.

რაც შეეხება ბატონების (ინფექციური დაავადება) გამოლოცვასთან დაკავშირებულ რწმენებს, იგი ისევე მკვეთრად ჩამოყალიბებული სახით არსებობს ოკრიბაში, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრები ხალხის წარმოდგენებში. რესპოდენტების თქმით, როცა ოჯახში “ბატონები

ბრძანდებოდა“, ხმამალლა არ დაილაპარაკებდნენ, შჰადს ვერ გამოაცხობდნენ, “ბატონს“ ვერ გაუწყრებოდნენ, ჯოხს ხელს ვერ მოკიდებდნენ, სანერვიულო და ძნელად თავგასართმევ საქმეს არ შეებმებოდნენ, ღვინოს ვერ დალევდნენ. ვარდისა და იის ფურცლების წვენს აყენებენ, “ბატონების“ სულს ვაამებთო...

ოკრიბის თემში შემორჩენილი ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის თავმოყრა-შესწავლა საინტერესოა როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე ასპექტით.

ლიტერატურა

- ი. გაგულაშვილი, 1986 - ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986.
 ს. ქეთელაური, 1977 - ს. ქეთელაური, იყო და არა იყო რა, თბ., 1977. დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალები.
 ა. ცანავა, 1986 - ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1986.

RAMAZ KHACHAPURIDZE

FOLKLORE AND ETHNOGRAPHIC SURVEY OF ÓKRIBA COMMUNITY

(According to the materials recorded in 1993-1999)

The Institute of Georgian Dialectology have collected considerable amount of folklore and ethnographic material during 1993-1999 years. Fairy tales, Legends, stories of oral traditions, adventures, modern stories, humorous short stories, puns, puzzles, anecdotes, songs, blessing formulas and incantations, which are characteristic particularly to this region.

The materials present interesting and important task of their studying both in historical and contemporary aspects.